ეთიკის კომისიის

გ ა დ ა წ ყ ვ ე ტ ი ლ ე ბ ა

დისციპლინური პასუხისმგებლობის დაკისრებაზე უარის თქმის თაობაზე

მეხუთე დისციპლინური კოლეგიის შემადგენლობა

ია გაბედავა – კოლეგიის თავმჯდომარე

არჩილ ჩოფიკაშვილი – კოლეგიის წევრი

ბესარიონ ბოხაშვილი – კოლეგიის წევრი

საჩივრის ავტორი – ც. ა.

საჩივრის კომისიაში შემოსვლის თარიღი: 05.02.2016

საჩივრის რეგისტრაციის ნომერი: №006/16

საჩივარი შემოტანილია: ადვოკატ ნ. ნ.-ის მიმართ /სიითი №..../

საჩივრის მოთხოვნა: ადვოკატ ნ. ნ.-სთვის ,,ადვოკატთა დისციპლინური პასუხისმგებლობისა და დისციპლინური წარმოების შესახებ'' დებულებით გათვალისწინებული პასუხისმგებლობის დაკისრება

I აღწერილობითი ნაწილი

1. **საჩივრის ავტორის პოზიცია:**

1.1 2016 წლის 05 თებერვალს საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის ეთიკის კომისიას საჩივრით მომართა ც. ა.-მა და მოითხოვა ადვოკატ ნ. ნ.-სათვის დისციპლინური პასუხისმგებლობის დაკისრება, ასევე, დოკუმენტაციის დაბრუნება.

1.2 საჩივრის ავტორის განცხადებით, 2014 წლის 18 სექტემბერს, საჯარო რეესტრის ერთ–ერთ სამსახურში გაიცნო ადვოკატი ნ. ნ., რომელსაც მიაწოდა ინფორმაცია მისი სამართლებრივი პრობლემების შესახებ. ნ. ნ.-ს საადვოკატო მომსახურება უნდა გაეწია ც. ა.-ს მიწის ნაკვეთის მიტაცების ფაქტთან დაკავშირებით.

1.3 საჩივრის ავტორის განმარტებით, მხარეები შეთანხმდნენ და მინდობილობის გაფორმების შემდეგ, საადვოკატო მომსახურების ჰონორარის სახით განისაზღვრა 500 (ხუთასი) ლარის გადახდა. გარკვეული დროის შემდეგ, ადვოკატმა მას დამატებით გამოართვა 1000 (ათასი) ლარი მორიგების მიზნით მოწინააღმდეგე მხარისათვის გადასაცემად. შეთანხმების შესაბამისად, საერთო ჯამში, ადვოკატმა აიღო თანხა 1500 (ათას ხუთასი) ლარის ოდენობით – 500 (ხუთასი) ლარი საადვოკატო მომსახურებისათვის და 1000 (ათასი) ლარი მეორე მხარისათვის გადასაცემად. ადვოკატმა არ შეასრულა ნაკისრი ვალდებულება – თანხა არ გადასცა ადრესატს და არც საჩივრის ავტორს უბრუნებს უკან. ასევე, მას არ განუხორციელებია შეთანხმებით ნაკისრი შესაბამისი სამართლებრივი ქმედებები.

1.4 საჩივრის ავტორის განცხადებით, ადვოკატმა, ასევე, არ დაუბრუნა საქმესთან დაკავშირებით აღებული საქმის მასალები, კერძოდ, სადავო მიწის ნაკვეთთან და სხვა საქმესთან (საავტომობილო შემთხვევა) დაკავშირებული დოკუმენტები.

1.5 2016 წლის 04 აპრილს საპროცესო კოლეგიის სხდომაზე საჩივრის ავტორმა დამატებით განაცხადა, რომ მან 1 000 (ათასი) ლარი გადასცა ადვოკატს ერთობლივად მომსახურებისა და საქმის მორიგებით დასრულებისათვის. სატელეფონო კომუნიკაციის საშუალებით ის სისტემატიურად უკავშირდებოდა ადვოკატს, რომელიც პასუხობდა მოკლე ტექსტური შეტყობინებებით შემდეგნაირად: „მეორედ აღარ დარეკო ჩემთან თორემ..“, „მე შენი მათხოვარი კი არ ვარ“, „მოგაყრი ამ ფულს და ამ საბუთებს“.

1.6 საჩივრის ავტორის განცხადებით, იგი მივიდა პიროვნებასთან, რომლის მეშვეობითაც გაიცნო ადვოკატი. ხსენებულმა პიროვნებამ მას განუცხადა, რომ არ იცის ადვოკატი ნ. ნ.-ის ადგილსამყოფელი და ვერც ტელეფონით უკავშირდება. გარკვეული ხნის შემდეგ მოხერხდა ადვოკატთან სატელეფონო კომუნიკაცია, რომლის ფარგლებშიც მას საჩივრის ავტორმა შეახსენა შეესრულებინა ვალდებულება, ხოლო პასუხად ადვოკატმა მიაყენა სიტყვიერი შეურაცხყოფა.

1.7 საჩივრის ავტორის განცხადებით, რადგან ნ. ნ.-მა გარკვეული საადვოკატო მომსახურება განახორციელა, სადავოდ არ ხდის საადვოკატო საქმიანობისთვის გადახდილ ჰონორარს – 500 (ხუთასი) ლარს, მაგრამ ითხოვს მეორე მხარისათვის გადასაცემად, სადავო საკითხის მორიგების მიზნით გადაცემული თანხის – 1000 (ათასი) ლარის დაბრუნებას. საჩივრის ავტორი აცხადებს, რომ ადვოკატის ქმედებების გამო შეურაცხყოფილად გრძნობს თავს, ითხოვს კოლეგიის წინაშე ბოდიშის მოხდას და გადახდილი 1000 ლარის დაბრუნებას, რის შემდეგაც არანაირი პრეტენზია აღარ ექნება ადვოკატის წინააღმდეგ.

1.8 საჩივრის ავტორის განცხადებით, მისი სურვილი იყო ადვოკატს სასამართლო წესით მოეგვარებინა მისი სამართლებრივი დავა.

1.9 მეხუთე კოლეგიის განხილვის სხდომა გაიმართა 2018 წლის 12 მარტს. კოლეგიამ საქმე განიხილა მხარეთა დასწრების გარეშე, მათივე სურვილით.

2. ადვოკატის პოზიცია:

2.1 ადვოკატმა ნ. ნ.-მა 2016 წლის 18 ივლისს ეთიკის კომისიაში წარმოადგინა წერილობითი ახსნა-განმარტება, სადაც მიუთითა, რომ მისი ყოფილი მარწმუნებელი ც. ა. ითხოვს თავის სადავო საქმის დოკუმენტების დედნებს, რომელიც არის საჯარო და ყველასათვის ხელმისაწვდომი კატეგორიის დოკუმენტაცია. აღნიშნული ადვოკატს არ მიაჩნია დედნებად.

2.2 ადვოკატის განმარტებით, იგი ადასტურებს, რომ საადვოკატო მომსახურების თანხა - 500 (ხუთასი) ლარი გამოართვა კლიენტს, თუმცა სხვა თანხასთან და დოკუმენტაციასთან დაკავშირებით ინფორმაციას არ ფლობს. ადვოკატი მიუთითებს, რომ მან მასზე დაკისრებული საადვოკატო საქმიანობა განახორციელა კვალიფიციურად და შესაბამის დროში, კერძოდ, სადავო საკითხთან დაკავშირებით რამდენჯერმე შეხვდა კლიენტის მოწინააღმდეგე მხარეს და საბოლოოდ მოახერხა მხარეების მორიგება.

2.3 2018 წლის 12 თებერვალს ადვოკატმა ეთიკის კომისიაში წარმოადგინა დამატებითი ახსნა-განმარტება. ნ. ნ.-ის განცხადებით, ც. ა.-მა მის სახელზე მინდობილობა გასცა 2014 წლის 18

სექტემბერს. ამავე დღეს, ადვოკატმა ც. ა.-სგან მიიღო თანხა 500 (ხუთასი) ლარის ოდენობით და დაიწყო წარმომადგენლობის განხორციელება. ადვოკატი არაერთხელ შეხვდა მომჩივანის პროცესუალურ მოწინააღმდეგეს და შეადგინა შეთანხმება. ასევე, კლიენტთან ერთად გამოკითხვა-დაკითხვაზე იმყოფებოდა გლდანი-ნაძალადევის მე-6 განყოფილებაში.

2.4 ადვოკატის განმარტებით, მას ც. ა.-საგან არ მიუღია 1 000 (ათასი) ლარის ოდენობის თანხა. ნ. ნ. აცხადებს, რომ მას არ დაურღვევია ადვოკატთა პროფესიული ეთიკის კოდექსის მე-8 მუხლის მე-15 ნაწილი.

2.5 ადვოკატის განცხადებით, მას ც. ა. სთხოვდა მომსახურებას სხვა საქმეებზეც, ვინაიდან ეს კონკრეტული საკითხი გადაწყდა სასამართლოს გარეშე. ნ. ნ.-მა აღნიშნულზე უარი განაცხადა და მოსთხოვა ც. ა.-ს მისთვის „თავი დაენებებინა, თუ არა და მივუყრიდი თავის 500 ლარს უკან." ადვოკატის განმარტებით, იგი ბოდიშს იხდის სიტყვა „მივუყრიდი"-ს გამოყენებისთვის, ვინაიდან ეს სიტყვა არ უნდა „ეკადრებინა".

2.6 მეხუთე კოლეგიის განხილვის სხდომა გაიმართა 2018 წლის 12 მარტს. კოლეგიამ საქმე განიხილა მხარეთა დასწრების გარეშე, მათივე სურვილით.

3 **დისციპლინური დევნის აღმძვრელი საპროცესო კოლეგიის პოზიცია:**

3.1 2016 წლის 24 ოქტომბერს საპროცესო კოლეგიამ მიიღო გადაწყვეტილება ადვოკატ ნ. ნ.-ის მიმართ დისციპლინური დევნის აღძვრის თაობაზე.

3.2 საპროცესო კოლეგიის მოსაზრებით, თუ დადასტურდებოდა, რომ ადვოკატმა ნ. ნ.-მა არ დაუბრუნა კლიენტს ის თანხა (სავარაუდოდ 1000 (ათასი) ლარი), რომელიც მიღებული ჰქონდა საადვოკატო მომსახურების ჰონორარის – 500 (ხუთასი) ლარის გარდა, როგორც დამატებითი თანხა მეორე მხარისთვის მორიგების მიზნით გადასაცემად, ისე, რომ მორგებისათვის საჭირო სამართლებრივი ქმედებები ადვოკატს არ განუხორციელებია, შესაძლოა დარღვეული ყოფილიყო ადვოკატთა პროფესიული ეთიკის კოდექსის მე-8 მუხლის მე–15 ნაწილი.

II სამოტივაციო ნაწილი

4 **საქმის ფაქტობრივი გარემოებები:**

4.1 განხილვის კოლეგიის მიერ დადგენილია შემდეგი უდავო ფაქტობრივი გარემოებები:

4.1.1 ადვოკატი ნ. ნ. წარმოადგენდა ც. ა.-ს ინტერესებს 2014 წლის 18 სექტემბრიდან.

განხილვის კოლეგია ეყრდნობა შემდეგ მტკიცებულებებს:

ც. ა.-ს მიერ გაცემული სანოტარო წესით დამოწმებული მინდობილობა, ადვოკატ ნ. ნ.-ის სახელზე.

4.1.2 ც. ა.-მა ადვოკატ ნ. ნ.-ს ჰონორარის სახით გადასცა 500 (ხუთასი) ლარის ოდენობის თანხა.

განხილვის კოლეგია ეყრდნობა შემდეგ მტკიცებულებებს:

მხარეთა ზეპირი მოსმენით და წერილობით წარმოდგენილი ახსნა-განმარტებები.

4.2 განხილვის კოლეგიას მიაჩნია, რომ საქმეში შემდეგი სადავო გარემოებაა:

ც. ა.-მა ადვოკატ ნ. ნ.-ს, საქმის მორიგებით დასრულებისათვის, გადასცა 1 000 (ათასი) ლარის ოდენობის თანხა.

აღნიშნული გარემოება კოლეგიას მიაჩნია სადავოდ, ვინაიდან საჩივრის ავტორს და ადვოკატს განსხვავებული პოზიციები გააჩნიათ:
ა) საჩივრის ავტორის განცხადებით, საადვოკატო მომსახურების ჰონორარის სახით განისაზღვრა 500 (ხუთასი) ლარის გადახდა. გარკვეული დროის შემდეგ, ადვოკატმა მას დამატებით გამოართვა 1000 (ათასი) ლარი მორიგების მიზნით მოწინააღმდეგე მხარისათვის გადასაცემად. შეთანხმების შესაბამისად, საერთო ჯამში, ადვოკატმა აიღო თანხა 1500 (ათას ხუთასი) ლარის ოდენობით – 500 (ხუთასი) ლარი საადვოკატო მომსახურებისათვის და 1000 (ათასი) ლარი მეორე მხარისათვის გადასაცემად.
ბ) ადვოკატის განმარტებით, იგი ადასტურებს, რომ საადვოკატო მომსახურების თანხა - 500 (ხუთასი) ლარი გამოართვა კლიენტს, თუმცა სხვა თანხასთან და დოკუმენტაციასთან დაკავშირებით ინფორმაციას არ ფლობს - მას ც. ა.-საგან არ მიუღია 1 000 (ათასი) ლარის ოდენობის თანხა.
გ) განხილვის კოლეგია მიიჩნევს, რომ საქმეში არა არის წარმოდგენილი უდავო მტკიცებულება, რომელიც ადვოკატისათვის ც. ა.-ს მიერ 1 000 (ათასი) ლარის მორიგებისათვის გადაცემას დაადასტურებს. საქმეში წარმოდგენილია მოკლე ტექსტური შეტყობინებები, თუმცა, მასში არ არის მითითებული კონკრეტული თანხა და არც დასტურდება მისი მიმოწერის ავთენტურობა. ადვოკატს მტკიცების ტვირთი იმასთან დაკავშირებით, რომ თანხა არ მიუღია, ვერ დაეკისრება. შესაბამისად, კოლეგია მიიჩნევს, რომ არ დასტურდება საჩივრის ავტორის მიერ ადვოკატისათვის, ჰონორარის თანხის გარდა, დამატებით, 1 000 (ათასი) ლარის ოდენობის თანხის გადაცემა.

5. შემაჯამებელი დასკვნა:

საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის ეთიკის კომისია გაეცნო საქმის მასალებს, შეისწავლა მხარეთა ახსნა-განმარტებები და მიიჩნევს, რომ ადვოკატ ნ. ნ.-ს არ უნდა დაეკისროს დისციპლინური პასუხისმგებლობა.

6. სამართლებრივი შეფასება:

6.1. განხილვის კოლეგიამ მიიჩნია, რომ ადვოკატ ნ. ნ.-ის მიერ არ დარღვეულა შემდეგი ნორმები:

6.1.1 ,,ადვოკატთა შესახებ“ საქართველოს კანონის მე-5 მუხლის ,,ა“ ქვეპუნქტი: ,,ადვოკატი ვალდებულია კეთილსინდისიერად შეასრულოს პროფესიული ფუნქციები“.

6.1.2 ადვოკატთა პროფესიული ეთიკის კოდექსის მე-8 მუხლის მე-15 ნაწილი: ,,კლიენტის ინტერესების დაცვის შეწყვეტისას ადვოკატმა კლიენტს უნდა დაუბრუნოს ყველა დოკუმენტი, ფულადი სახსრები ან სხვა ქონება, რომელიც კლიენტმა ადვოკატს გადასცა ან მიანდო წარმომადგენლობითი უფლებამოსილების განხორციელებისას ან წარმოების პროცესში. კლიენტისათვის გადასაცემი თანხიდან ადვოკატს უფლება აქვს გამოქვითოს ურთიერთობის შეწყვეტამდე განხორციელებული მომსახურებისათვის მისაღები გასამრჯელო და გაწეული ხარჯი.“

6.2 კვალიფიციურ მომსახურებასთან დაკავშირებით ეთიკის კომისიამ 2011 წლის 28 იანვრის გადაწყვეტილებაში დისციპლინურ საქმეზე N074/10 განმარტა, რომ ,,ადვოკატმა სარჩელის შეტანიდან საბოლოო გადაწყვეტილების მიღებამდე უნდა უზრუნველყოს საქმის კვალიფიციურად წარმართვა და იმ საპროცესო მოქმედებების კეთილსინდისიერად შესრულება, რაც კანონმდებლობითაა გათვალისწინებული.“

6.3 საადვოკატო მომსახურების საფასურს წარმოადგენს თანხა, რომელზეც ადვოკატი და კლიენტი წინასწარ თანხმდებიან გასაწევი იურიდიული მომსახურების სანაცვლოდ. შესაძლებელია ადვოკატ-კლიენტის ურთიერთობა დასრულდეს ერთ-ერთი მხარის ნების საფუძველზე, ადვოკატის მიერ შეთანხმებით ნაკისრი ვალდებულების სრულად შესრულებამდე. კლიენტის მიერ გარკვეული მოცულობის სამუშაოს გასაწევად გადახდილი შეთანხმებული ჰონორარი, არ მიიჩნევა ადვოკატის მიერ სამართლიანად გამომუშავებულად, თუკი ადვოკატმა ვერ განახორციელა საადვოკატო მომსახურება იმ მოცულობითა და ფარგლებში, როგორც ამას კლიენტთან შეთანხმება ითვალისწინებდა. იმ შემთხვევაში როდესაც ადვოკატს კლიენტისგან მიღებული აქვს შეთანხმებული საადვოკატო მომსახურების საფასური სრულად, ხოლო მან ხელშეკრულების შეწყვეტის გამო ვერ შეძლო წარმომადგენლობის დასრულება, ადვოკატს უფლება აქვს მიღებული თანხიდან გამოქვითოს ურთიერთობის შეწყვეტამდე განხორციელებული მომსახურებისათვის მისაღები გასამრჯელო და გაწეული ხარჯი და ვალდებულია დარჩენილი თანხა დაუბრუნოს კლიენტს. აღნიშნული ეთიკური ვალდებულების დაცვა ემსახურება კლიენტის საუკეთესო ინტერესებს და ადვოკატის პროფესიულ სახეს, რომელიც თავისი ქმედებებით პატივისცემას უნდა აღძრავდეს კლიენტში და განამტკიცებდეს ადვოკატ-კლიენტის ურთიერთობას.

6.4 განხილვის კოლეგია აღნიშნავს, რომ საჩივრის ავტორსა და ადვოკატს შორის შეთანხმება საადვოკატო მომსახურების გაწევის თაობაზე მოხდა 2014 წლის 18 სექტემბერს და გაფორმდა N..... მინდობილობა. ადვოკატმა აიღო ვალდებულება დაეცვა კლიენტის ქონებრივი და არაქონებრივი ინტერესები საერთო სასამართლოების სისტემაში შემავალ ნებისმიერი ინსტანციის სასამართლოში, წარმოედგინა ის ნებისმიერ სახელმწიფო და არასახელმწიფო ორგანოში და განეხორციელებინა საქმესთან დაკავშირებით შესაბამისი სამართლებრივი ქმედებები. კერძოდ, საქმის არსიდან გამომდინარე, ადვოკატს საადვოკატო მომსახურება უნდა გაეწია ც. ა.-ს მიწის ნაკვეთის „მიტაცების“ ფაქტთან დაკავშირებით, რომლისთვისაც საადვოკატო მომსახურების ჰონორარის სახით ადვოკატს გადაეცა 500 (ხუთასი) ლარი. აღნიშნული დასტურდება საჩივრის ავტორისა და ადვოკატის ახსნა–განმარტებებიდან.

6.5 ,,ადვოკატთა დისციპლინური პასუხისმგებლობისა და დისციპლინური წარმოების შესახებ“ დებულების მე-16 მუხლის მიხედვით: ,,დისციპლინური წარმოების მხარეები სარგებლობენ თანაბარი უფლებებით გაეცნონ საქმის მასალებს და გადაიღონ მათი ასლები; განაცხადონ აცილებები; წარადგინონ მტკიცებულებები; ეთიკის კომისიას მიმართონ შუამდგომლობებით; მისცენ ახსნა-განმარტებები და წარადგინონ თავიანთი მოსაზრებები დისციპლინური წარმოების დროს წამოჭრილ ყველა საკითხზე“. ამავე დებულების მე-17 მუხლის პირველი პუნქტის მიხედვით“ ,,მტკიცებულებებს დისციპლინურ კოლეგიას წარუდგენენ მხარეები“, ხოლო ამავე მუხლის მე-2 პუნქტის თანახმად: ,,თუ მხარეებმა ვერ შეძლეს მტკიცებულებების მიღება და დისციპლინურ კოლეგიაში წარდგენა, მხარეთა შუამდგომლობით ან საკუთარი ინიციატივით დისციპლინურ კოლეგიას შეუძლია თვითონ გამოითხოვოს მტკიცებულებები“.

6.6 განხილვის კოლეგიას მიაჩნია, რომ, როგორც საჩივრის ავტორს, ასევე ადვოკატ ნ. ნ.-ს ჰქონდათ თანაბარი შესაძლებლობები საქმის წარმოებისას წარმოედგინათ მტკიცებულებები. საქმეში არსებულ დოკუმენტაციაზე დაყრდნობით უდავოდ ვერ დგინდება, რომ ადვოკატმა, საჩივრის ავტორისაგან, გარდა ჰონორარის სახით გადაცემული თანხისა, მიიღო სხვა თანხაც.

6.7 საქმეში წარმოდგენილია მოკლე ტექსტური შეტყობინება თუმცა, მასში არ არის მითითებული კონკრეტული თანხა და არც დასტურდება მისი მიმოწერის ავთენტურობა. შესაბამისად, აღნიშნული, განხილვის კოლეგიის მიერ ვერ მიიჩნევა უდავო მტკიცებულებად და დისციპლინური პასუხისმგებლობის დაკისრების საფუძვლად. ადვოკატს მტკიცების ტვირთი იმასთან დაკავშირებით, რომ თანხა არ მიუღია, ვერ დაეკისრება.

6.8 განხილვის კოლეგია იზიარებს საპროცესო კოლეგიის მოსაზრებას, რომ, ადვოკატმა, რეკომენდირებულია, როგორც პროფესიონალმა, შეადგინოს მიღება-ჩაბარების აქტი და წერილობით დააფიქსიროს კლიენტის მიერ მისთვის რაიმე სახის ფულადი სახსრების გადაცემა და დაბრუნება, თუმცა, აღნიშნავს, რომ აღნიშნულის ვალდებულება, პროფესიული ეთიკის პრინციპებით, არ არსებობს. დამატებით, გასათვალისწინებელია ის ფაქტი, რომ ადვოკატი უარყოფს თანხის მიღებას. შესაბამისად, საერთო ჯამში, ადვოკატის მიერ რაიმე სახის მიღება - ჩაბარების დოკუმენტაციის წარმოუდგენლობა დისციპლინური პასუხისმგებლობის დაკისრების საფუძველი ვერ გახდება. შესაბამისად, მოცემულ შემთხვევაში, არ დგინდება ადვოკატ ნ. ნ.-ის მიერ მისთვის გადაცემული თანხის დაბრუნების ვალდებულების დარღვევის ფაქტი.

6.9 განხილვის კოლეგია აღნიშნავს, რომ მოცემულ შემთხვევაში, ადვოკატ ნ. ნ.-ის მიერ არ არის დარღვეული „ადვოკატთა შესახებ“ საქართველოს კანონის მე-5 მუხლის „ა“ ქვეპუნქტი და ადვოკატთა პროფესიული ეთიკის კოდექსის მე-8 მუხლის მე-15 ნაწილი.

III სარეზოლუციო ნაწილი

განხილვის კოლეგიამ იხელმძღვანელა „ადვოკატთა შესახებ“ საქართველოს კანონის მე-5 მუხლის „ა“ ქვეპუნქტით, ადვოკატთა პროფესიული ეთიკის კოდექსის მე-8 მუხლის მე-15 ნაწილით, „ადვოკატთა დისციპლინური პასუხისმგებლობისა და დისციპლინური წარმოების შესახებ“ დებულების მე-4 მუხლის მე-5-6 პუნქტებით, მე-5 მუხლის მე-7 პუნქტით, 33-35 მუხლებით, 37 მუხლით, 40-ე მუხლის მეორე პუნქტით და გადაწყვიტა:

1. დისციპლინურ საქმეზე №006/16 ადვოკატ ნ. ნ.-ს /სიითი №..../ არ დაეკისროს დისციპლინური პასუხისმგებლობა.
2. გადაწყვეტილების ასლი გაეგზავნოს მხარეებს.
3. ეთიკის კომისიის გადაწყვეტილება დისციპლინური პასუხისმგებლობის დაკისრებაზე უარის თქმის თაობაზე არ საჩივრდება საქართველოს უზენაეს სასამართლოში.

კოლეგიის თავჯდომარე: /ია გაბედავა/

კოლეგიის წევრი: /არჩილ ჩოფიკაშვილი/

კოლეგიის წევრი: /ბესარიონ ბოხაშვილი/